პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 16 მაისი, 1945 წ. № 96 (7311). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წარმოების ოსტატი. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 15 მაისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
პრაღა (1-ლი გვერდი).
ბერლინის ჯურღმულებში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის სახკომსაბჭოში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ტყვარჩელელ მეშახტეთა გამარჯვება (1-ლი გვერდი).
ოსტატი წარმოების ცენტრალური ფიგურაა, მეტი ყურადღება მას (მე-2 გვერდი).
რა ხდება ბებნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-2 გვერდი).

წარმოების ოსტატი

[illegible]

... ახალი ვითარება სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. ამ ამოცანათა გადაწყვეტაში დიდია ოსტატის როლი და პასუხისმგებლობა.

ოსტატი უბნის სრულუფლებიანი ხელმძღვანელია. მან უნდა აგოს პასუხი მის უბანზე მუშაობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, იყოს მაღალნაყოფიერი სტახანოვური შრომის [illegible]

... მარჯვებამ ახალი შრომითი გმირობისა და მამაცობისათვის აღაფრთოვანა მთელი საბჭოთა ხალხი. ორდენოსანი საქართველოს მრეწველობაში მომუშავე ოსტატები მოწოდებულნი არიან გააძლიერონ მუშაობა, რათა მოკლე დროში მოვუშუშოთ ქვეყანას ომით გამოწვეული ჭრილობები და კიდევ უფრო ძლიერი გავხადოთ ჩვენი უძლეველი სოციალისტური სამშობლო.

ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება ქართულ ენაზე

საქართველოს სახელგამმა ქართულ ენაზე ბროშურად გამოსცა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ ი. ბ. სტალინის 1945 წლის 1 მაისის ბრძანება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკებისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეცნიერების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. ზურაბაშვილს ავლიპი დავითის-ძეს
2. თოდაძეს ერმილე ბესარიონის-ძეს
3. სარაჯიშვილს პეტრე მიხეილის-ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი **ა. ჯორბენაძე**

1945 წ. 8 მაისი. ქ. თბილისი.

ტყვარჩელელ მეშახტეთა გამარჯვება

ტყვარჩელი („კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან). მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუღალავად და თავდადებით სჭედდნენ ტყვარჩელელი მეშახტეები მტერზე გამარჯვებას. აპრილში საპირველმაისო შეჯიბრების გაშლის შედეგად მათ მორიგ საწარმოო გამარჯვებას მიაღწიეს, ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება 113,5 პროცენტით შეასრულეს, ხამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა — 122,4 პროცენტით, ხოლო ქვანახშირის დატვირთვისა—130 პროცენტით.

ამ მაჩვენებლებისათვის პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტს მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

დროშის გადაცემისას შესდგა მეშახტეთა მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ქ. ჩაგუნავამ, რომელმაც პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა გადასცა ტრესტის მმართველს ამხ. შ. გარდაფხაძეს.

— ტყვარჩელელი მეშახტეები,—სთქვა დროშის მიღებისას ამხ. გარდაფხაძემ,— რომლებიც აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის მიერ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით, ამიერიდან კიდევ უფრო გააძლიერებენ ქვანახშირის მოპოვებას, რათა სამშობლოს უმოკლეს ვადაში მოვუშუშოთ ომით გამოწვეული ჭრილობები. ჩვენი მეშახტეების მტკიცე გადაწყვეტილებაა შეინარჩუნონ გარდამავალი წითელი დროშა, შეუნელებლივ ზარდონ ქვანახშირის მოპოვება.

ა. ლეფთერიძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 მაისის ოპერატიული ცნობა

ტყვე გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მიღება ყველა ფრონტზე დამთავრებულია.

პრაღა

ბრატისლავიდან პრაღამდე დაახლოებით 400 კილომეტრია. ამ გზის ნახევარს — ქალაქ ბრნომდე — ავტომობილი ადვილად და სწრაფად გადის. ამ დღეებში გზები აქ ღრმა ზურგში მოექცა საბჭოთა ჯარებს, რომლებიც სწრაფად სდევნიდნენ მტერს. მტერი, რომელმაც თავი აარიდა კაპიტულაციას აქ, ჩეხოსლოვაკიაში, ბრნოს რაიონიდან უკან იხევდა ბრძოლებით, ხოლო ჩვენი ნაწილები ანადგურებდნენ მას, ძალით აყრევინებდნენ იარაღს, დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა გზით გამართნენ, 200 კილომეტრი გზა გაიარეს რამდენიმე დღეში, სწმენდნენ ტყეებს, გერმანელებისაგან ათავისუფლებდნენ ათობით ქალაქსა და ასობით დასახლებულ პუნქტს. ძირითადი გზები ამ დღეებში გაჭედილი იყო დასავლეთისაკენ მიმავალი ავტომობილებით, საზიდრებით, ყოველგვარი საომარი ტექნიკით. ჩვენი ჯარები დღედაღამ წინ მიდიოდნენ მტრის ლოუბლებში, განუწყვეტლივ ისმოდა მოტორების გუგუნი.

ამ მანქანებთან ერთად ჩვენ გავიარეთ მთელი გზა პრაღამდე. გზის ზოგიერთი შთაბეჭდილება ღირსია იმისა, რომ ისინი აღვწეროთ.

ქალაქ ნემეცკი ბროდში, რომელიც ბრძოლით ავიღეთ, არა მარტო შეუძლებელი იყო ქუჩებში გავლა მანქანით, არამედ ძნელი იყო ფეხით გავლაც. ეს ქალაქი პირდაპირ გაჭედილი იყო დამსხვრეული, დამწვარი, დალეწილი გერმანული ტექნიკით. ქუჩები აქ ისე იყო ჩახერგილი, რომ ჰიტლერელები მანქანებიდან გამოდიოდნენ, ხოხვით გადადიოდნენ მანქანებზე და ცდილობდნენ ქალაქიდან გაქცევას. ჩეხოსლოვაკიელმა პარტიზანებმა ქალაქიდან ყველა გასასვლელი ჩაკეტეს. წითელი არმია მტერს დაეწია და ტყვედ ჩაიგდო გაქცეული 25 ათასი გერმანელი. სულ მცირე 25 ათასი გერმანელი უწესრიგოდ დაეხეტება ახლომახლო ტყეებსა და მთებში და ისინიც შეუერთდნენ ნემეცკი ბროდში წამოყვანილ ტყვეებს.

ჩვენ ვნახეთ გზებზე მიმავალი გერმანელთა ეს უთვალავი კოლონები. ამავე გზებით დაუსრულებელ ნაკადად მიემართებოდა თავისი ძლიერებით დიდებული, გამარჯვების მოზეიმე წითელი არმია.

ქალაქ ვლაშიმში, რომელშიც მისი აღების მეორე დღეს აღმოვჩნდით, მოასფალტებული გზატკეცილი ისე იყო გაჭედილი, რომ მას გვერდი ავუქციეთ, თითქმის პრაღამდე მივდიოდით ნაძვის ტყეებსა და მთებში ჩაკარგული პატარა სასოფლო გზებით, გავდიოდით სოფლებს, რომლებშიც წითელი არმია ჯერ კიდევ არ შესულიყო. ჩეხი გლეხები ქუჩაზე გამორბოდნენ და წითელი არმიის პირველ წარმომადგენლებს მიესალმებოდნენ. ჩეხოსლოვაკიელი პარტიზანები უღრან ტყეებში გაკაფულ ადგილებს გვიჩვენებდნენ და ჩვენთვის საჭირო გზებზე გაგვყავდით. აქა იქ ხის ტოტებზე ფრიალებდა თეთრი ჩვრები. ეს იმის ნიშანი იყო, რომ პარტიზანების მიერ გარშემორტყმული გერმანელები, ბოლოსაბოლოს, მათ ნებდებოდნენ და მათ წინაშე იარაღს ჰყრიდნენ. მაგრამ ყველაზე თავზეხელაღებული ფაშისტი ავაზაკები ზოგან დღისით მგლებივით იმალებიან ტყეებში, ცდილობენ რამე დივერსია მოახდინონ. ჩვენი ჯარები, რომლებიც მთელ ადგილს მოიხილავენ, პარტიზანებთან ერთად მოქმედებენ, პოულობენ და იჭერენ ამ ბანდიტებს. ჩაბარდებიან თუ არა ტყვედ, ისინი ცხვრებივით მშვიდნი ხდებიან. მლიქვნელურად იღრიჯებიან, დასცინიან თავიანთ თავს და გერმანიის დამარცხებას.

ჩამავალი მზის სხივები თვალებში გვეყურებოდა, როცა პრაღა გამოჩნდა. მის გარეუბნებში ჩვენ ვნახეთ ბარიკადები, ქვაფენილი მაათულის ხლართები. პირველი, რაც თვალში გვეცა, როდესაც რეიხანიდან გზატკეცილით შევედით დედაქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ მაგისტრალურ პროსპექტზე, ის იყო ფირფიტებზე წითელი სტამბური შრიფტით დაბეჭდილი სახელწოდება: „მარშალ სტალინის პროსპექტი". აქ ყველა სახლი დაუზიანებელია, მათ არ შეხებია არც ბომბი, არც ყუმბარის ნამსხვრევი. სახლებს ყველა სართულში თვითეული ფანჯარა მორთულია ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. ბევრ ფანჯარაზე ჩვენი მოკავშირეების ალმებიც იყო. ყველა აივანი სავსეა ქალაქის მცხოვრებლებით, რომლებიც მიესალმებიან წითელ არმიას. ფანჯრებიდან წითელი არმიის სატვირთო მანქანებში სცვივა ყვავილების თაიგულები. პროსპექტზე გაჩერებული ტანკისა თუ ავტომობილის გარშემო მყისვე იკრიბებოდა სახელდახელო მიტინგები. მორთული ქალიშვილები გზის მტვერს არ ერიდებოდნენ, ტანკებზე ადიოდნენ და მათს ჯავშანზე ტანკისტებთან ერთად ცეკვავდნენ. მოზეიმე ხალხში განუწყვეტელი სიმღერა გაისმოდა, სხვადასხვა მხიარული მუსიკა უერთდებოდა გამარჯვების დიდებულ სიმფონიას.

მაღაზიები და რესტორანები გაღებული იყო. ქალაქს ხანგრძლივი წლების განმავლობაში პირველად მისცემოდა მშვიდობიანობის დროის იერი. მხოლოდ აყრილი ქვაფენილი და შესახვევებში მოწყობილი ბარიკადები მოწმობდნენ, რომ აქ ქუჩებში ბრძოლები ყოფილა. პრაღაში წითელი არმიის შესვლამდე რამდენიმე დღით ადრე აქ, დედაქალაქის ქუჩებში, თავისუფლებისმოყვარე პატრიოტები იბრძოდნენ გერმანელთა წინააღმდეგ. თითქმის შეუიარაღებელი ან ძალიან ცუდად შეიარაღებული ჩეხები რამდენიმე დღე იბრძოდნენ გერმანელთა წინააღმდეგ. ეს გაუწვრთნელი და საბრძოლო გამოცდილებას მოკლებული ჩეხები ებრძოდნენ თავზეხელაღებულ სს-ელებს. გერმანელები აჯანყებულებს უშენდნენ მძიმე არტილერიას, მათ წინააღმდეგ გზავნიდნენ ავიაციას. როცა მარშალ სტალინის პროსპექტით ქალაქის ცენტრში შევედით, ყველგან ვნახეთ ამ სასტიკი ბრძოლის კვალი. ქალაქის მუზეუმის პირდაპირ უზარმაზარი სახლი ნანგრევებად არის ქცეული და მოედნის მთელ კიდეს ფარავს. შემდეგ განიერ ლამაზ ქუჩაზე კიდევ მრავალი სახლი არის ნანგრევებად ქცეული. მაგრამ ამის შემდეგ ქალაქი კვლავ დაუზიანებელია. სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის ლაშქრის სწრაფი მანევრის შედეგად მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა — საბჭოთა ჯარებმა გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი და იხსნეს პრაღა ბარბაროსული დანგრევისაგან.

ქალაქში დღესასწაული გრძელდება წითელი არმიის მიერ პრაღის განთავისუფლების მომენტიდან. ხალხის სიხარული შეღავნდება ყველაფრით — ჩეხების საუცხოო თავაზიანობით, გულითადი სტუმართმოყვარეობით, გამასპინძლებით. პრაღელ ქალიშვილებს ბაღებსა და ქუჩებში გამოაქვთ სხვადასხვა ხორაგეული, რათა წითელი არმიის მეომრებს მიუძღვნან. ხალხის სიხარულს გამოხატავს სიმღერები, სადღესასწაულო ტანსაცმელი და ქალაქის მთელი მხიარული ცხოვრება. ხალხი ათასნაირად გამოხატავს უდიდეს პატივისცემას წითელი არმიის ყოველი მეომრისადმი, თავის საუკეთესო გრძნობებს მათდამი, ალერსსა და ყურადღებას. საკმაოა გზა იკითხოთ, რომ ათობით მოქალაქე ავტომობილის საფეხურზე დგება და გაგაცილებს იქ, სადაც საჭიროა. რესტორანებში ოფიციანტები გადაჭრით უარს ამბობენ ფულის მიღებაზე და ითხოვენ მხოლოდ სამახსოვროდ მიეცით რუსული ფული ან ღილი, რომელზეც გამოსახულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი. საკმაოა ავტომანქანა ერთ წუთს შეჩერდეს, რომ იგი ყვავილების თაიგულად იქცეს. მანქანას ყოველი მხრიდან ისამას აყრიან.

ფაშისტების უღლისაგან განთავისუფლებისათვის, ნგრევისა და უბედურებისაგან გადარჩენისათვის მადლობის უდიდესი გრძნობით არიან გამსჭვალულნი პრაღის მცხოვრებნი, ისინი ადიდებენ და მიესალმებიან წითელ არმიას. პრაღის კრემლის — გრადჩანისაკენ მიმავალი ხეივნები, რაც პრაღის მხიარული ახალგაზრდობის საირნობის საყვარელ ადგილს წარმოადგენს, ახლა ჩაფლულია გირლანდებში, სამფეროვან და წითელ ლენტებში, გაერთიანებულ ერთა ალმებში. ამ დღეებში მთელი ხალხი ქუჩაშია, ქალაქის მცხოვრებთა ყველა დღეები წარმოადგენენ წითელი არმიისადმი სიყვარულისა და მადლობის განუწყვეტელ დემონსტრაციას. პარტიზანები, როგორც ქალაქის გულითადი და სტუმართმოყვარე ბატონ-პატრონები, ჩვენს მებრძოლებსა და ოფიცრებს ქუჩებში უამბობენ თავიანთი დედაქალაქის ისტორიას, ჰიტლერელთა წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლის შესახებ. პრაღას ათასი წლის განმავლობაში არ უნახავს ასეთი დღესასწაული. იგი არასოდეს არ ყოფილა ისე დიდებული და კარგი, როგორც მოპოვებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ამ მშვენიერ დღეებში.

პ. ლუკნიცკი

პრაღა, მაისი (საკდესის სპეც. კორ.).

საბჭოთა კავშირში

კინოგამოშვება „გამარჯვების დროშა ფრიალებს ბერლინში"

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტში უჩვენეს კინოგამოშვება „გამარჯვების დროშა ფრიალებს ბერლინში". ამ გამოშვებაში შესული მასალა ნაწილია დიდი დოკუმენტალური ფილმისა, რომელიც მიძღვნილია დიდი სამამულო ომის უკანასკნელი ეტაპისადმი, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების კაპიტულაციისადმი.

საბჭოთა კინოოპერატორებმა გადაიღეს ომი ბერლინის ქუჩებში. მათ აღბეჭდეს ომის უკანასკნელი დღის ამბები. ეკრანზე ვხედავთ კადრებს, რომლებიც გვიჩვენებენ 1945 წლის 8 მაისის საღამოს, როდესაც კარლსჰორსტში ხდებოდა უსიტყვო კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა. ეკრანზე არიან საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლები.

უსიტყვო კაპიტულაციის აქტი ხელმოწერილია. ეკრანზე ასახულია ეს ისტორიული მოვლენა.

გადაღებას ხელმძღვანელობდა სტალინური პრემიის ლაურეატი რეჟისორი რაიზმანი, გამოშვების მონტაჟი ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს რეჟისორ ვ. ბელიაევს. (საკდესი).

რიგელი მუშების ნაპოვნი

რიგაში „როგეს აუდუმის" ფაბრიკის მუშებმა საწარმოს შენობის ქვეშ იპოვეს ამოქოლილი აგურის კედლის გვირაბი. მის ნაწილებში მუშებმა იპოვეს 38 ელექტრომოტორი, უახლესი ავტომატური საფეიქრო დაზგები, დიდძალი აბრეშუმის ნართი, მანქანათა დეტალები, ქსოვილები. ყოველივე ეს, როგორც გამოირკვა, გადაუმალავთ გერმანელებს, რომლებიც ფაბრიკაში თარეშობდნენ ომის პირველ სამ წელს.

ნაპოვნ მოწყობილობას დგამენ ფაბრიკის საამქროებში. (საკდესი).

15 მაისი.

კრამატორსკში აღდგენილია მესამე ბრძმედი

მშვიდობიანი მშენებლობის პირველი დღეები კრამატორსკის კუიბიშევის სახელობის ქარხანამ აღნიშნა № 3 ბრძმედის აღდგენით. გუშინ საღამოს მიიღეს თუჯის პირველი ნადნობი. ყველა მექანიზმი და დამხმარე აგრეგატი ნორმალურად მოქმედებს. (საკდესი).

ბერლინის ჯურღმულებში

(„კრასნაია ზვეზდას" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ახლა, როდესაც ბრძოლების გრიალი უკვე მისწყდა და უკანასკნელი ხანძრები ჩაქრა, საშუალება გვაქვს უფრო ახლოს გავეცნოთ გერმანიის დედაქალაქის მრავალკილომეტრიან ჯურღმულებს. ომმა უკვე დიდი ხანია მიწის ქვეშ ჩარეკა ბერლინი. იქ გვიწევდა იგი უკანასკნელ წინააღმდეგობას. და მხოლოდ მაშინ, როცა ყურადღებით დაათვალიერებ მიწისქვეშა ლაბირინთებს, შეიძლება შეიცნო, თუ რა ძლიერება იყო საჭირო, რომ იძულებული გაგვეხადა ბერლინი აღემართა კაპიტულაციის ალამი.

აი ბერლინის რომელიც გნებავთ ქუჩა, თუნდაც შარლოტენშტრასე. ირგვლივ ნანგრევებია. მაღლა ამართულა რუხი, გარუჯული, დანგრეული კედლები. გეგონება, ამ ნანგრევებში დიდი ხანია აღარ არის ცხოვრება. მაგრამ ეს ასე როდია.

სახლი № 63. ჩამონგრეულ კედელს ვიწრო ბილიკი მიუყვება. ფრთხილად გავიაროთ აქ ბილიკით. შემოვუაროთ ავიაბომბისაგან ამოთხრილ ღრმა ორმოს, გავცდით აგურის გროვას და ერთბაშად მივადექით ბეტონის ფილებისაგან ნაშენ უცნაურ ნაგებობას. ეს არც სახლია, არც ჯიხური, არც ხანგრძლივი საცეცხლე წერტი. ერთი ფილა ამოღებულია და მოსჩანს კიბე, რომელიც დაბლა ეშვება.

ნანგრევებ ქვეშ 5-6 მეტრის სიღრმეზე უზარმაზარი მიწისქვეშა სადგომია კორიდორით, მძიმე კარებით, ელექტრობით, ტელეფონებით, რაღაც მაჩვენებლებით. აშკარად ეტყობა, რომ წინათ აქ სამოქალაქო პირებს უცხოვრნიათ. ეს სჩანს ავეჯითაც, მრავალ განყოფილებასა და ოთახში რომ დგას, იატაკზე მიყრილ-მოყრილი თეთრეულითაც, საბავშვო ეტლითაც, კუთხეში რომ დგას ტყავის სავარძელთან. ეტყობა, როდესაც ფრონტი შარლოტენშტრასეს მიუახლოვდა, ამ სარდაფში გერმანელთა სამხედრო ქვეგანაყოფი მოთავსებულა. მიტოვებული დოკუმენტების მიხედვით შეიძლება გამოირკვეს, რომ ეს ქალაქ ბერლინის კომენდანტთან არსებული განსაკუთრებული სასანგრო ბატალიონი იყო.

მოპირდაპირე სახლის ქვეშ კიდევ უფრო დიდი სარდაფია. იქ ჩვენი წითელარმიელები და ოფიცერი ვნახეთ. გერმანელები მათ რაღაცას გაფაციცებით უამბობდნენ.

— სარდაფში მკვდარი ოჯახი აღმოჩნდა,— განგვიმარტა კაპიტანმა, — რომელიღაც გერმანელ მოხელეს მთელი ოჯახი მოუწამლავს, თვითონ კი თავი ჩამოუხრჩვია. დაუტოვებია ბარათი: „აი სად მიგვიყვანა ჰიტლერულმა რეჟიმმა".

ოფიცრისა და რუსულად მოლაპარაკე გერმანელის თანხლებით დაბლა ჩავედით. კორიდორი განათებული იყო სანთლებითა და ნავთის ლამპებით. ორივე მხარეს მოსჩანდა კარები. ბევრ კართან ბავშვები და ქალები იდგნენ.

— აქ 1942 წლიდან ცხოვრობენ,—გვითხრა გერმანელმა.

კორიდორმა მარცხნით მიუხვია და რკინის კარს იქით განიერ და გრძელ ბნელ სადგომში შევედით.

— რა არის აქ?

— გრანატების ფაბრიკა,—გვიპასუხა გერმანელის ნაცვლად კაპიტანმა.

თურმე ყველა გერმანელს, ბავშვსაც კი, თავშესაფარს რომ მიიღებდა, ამ „მოწყალების" სამაგიეროდ ამ ფაბრიკაში უნდა ემუშავნა.

გუსტაფის შენობის ახლოს არის ქუჩა, რომელიც მთლად ნანგრევებს წარმოადგენს. მის ქვეშ რთული სატრანსპორტო არტერიაა გაყვანილი. გავიაროთ აქ.

ფოლადის რგოლით ავწიეთ ფოლადის მრგვალი ფილა. ახლა ეს ხელით უნდა გავაკეთოთ. რამდენიმე დღის წინათ კი ფილის აღება ხდებოდა ბერკეტების საშუალებით, რომლებიც შენიღბული იყო წყალსადენის სვეტით. იღება დაბეტონებული სარქველი. ქვემოთ ჩადის რკინის დახვეული კიბე.

ერთ ადგილას გვირაბი იყრება: აქ მიწისქვეშა უბნებში შესასვლელი იყო.

ვიწრო სასვლელებით ძლივს ვაღწევთ გესტაპოს ახლოს მდებარე დანგრეული სახლის მიწისქვეშა სადგომამდე. ეს განიერი სარდაფი — თაღებიანი ჭერითა და რკინაბეტონის სვეტებით — საომარი მასალების უზარმაზარი საწყობია. სტელაჟებზე, ყუთებში აწყვია ყუმბარები — მსხვრევადი, ფუგასური, ცეცხლწამკიდი, კვამლის დასაყენებელი. ყველაფერი თაროებზე აწყვია, ყველგან წარწერებია — რა ყუმბარებია, რამდენი, რომელ წელს არის დამზადებული და სხვა ცნობები. სხვა სტელაჟებზეა ვაზნის ყუთები, ტყვიამფრქვევის ლენტები, რევოლვერები, ავტომატები. სარდაფიდან მიდის განიერი გალერეა, რომლის იატაკიც თანდათან მაღლდება. აქ დაწყობილია რელსები, ჰერს მიუყვება ელექტრობით შიშველი სადენები დაკიდებული იზოლატორებით. ცხადია, ეს მინიატურული ელექტრორკინიგზაა, რომლითაც საომარი მასალები გადაჰქონდათ. შემდეგ ბაქანზე ვაგონეტი იდგა. აქ თავდებოდა რელსები, მაგრამ სხვადასხვა მხრისაკენ ვიწრო გვირაბებით გადიოდა ელასტიური კონვეიერები. ისინი თითქმის ამოდიოდნენ ქუჩების ზედაპირზე, იქ, სადაც აგებული იყო დაბეტონებული სიმაგრეები. ერთმა კონვეიერმა საარტილერიო კაზემატში მიგვიყვანა. ზარბაზანი სიღრმეში იდგა, ლულის ტუჩი ოდნავ ამოეყო ამბრაზურიდან, მიწის ზედაპირს მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით იყო აცილებული. აქედან მოსჩანდა და გამოთოფილი იყო ქუჩის მეტი ნაწილი. ძალიან ძნელია გარედან შეამჩნიო ეს საცეცხლე წერტი, რომელიც შენიღბულია ხის მესერით.

მიწისქვეშა სასვლელები ყველაზე მეტად განვითარებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სადაც თავმოყრილია მთავრობის ძირითადი დაწესებულებები. აქ უამრავი ღრმა „თხუნელის სოროები" და ეშმაკური სასვლელებია. ბევრი მიწისქვეშა სადგომი უკვე აღმოჩენილი და შესწავლილია. მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. ჰიტლერელები მიწისქვეშეთის გეგმას მეტად საიდუმლოდ ინახავდნენ. ჯარისკაცმა იცოდა თავისი ადგილი ქვემეხთან და გარეთ გამოსასვლელი, ოფიცერმა — მხოლოდ თავისი უბნის გეგმა. მიწისქვეშა ბრძოლებში ჩვენი მებრძოლები ისეთ ადგილებში ჩარეკდნენ ხოლმე ჰიტლერელებს, რომ იქიდან ისინი დიდხანს ვეღარ პოულობდნენ გამოსასვლელს.

გერმანელებმა ბერლინში მიწისქვეშ დამალეს ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, საწყობები, ჰოსპიტლები. მიწისქვეშ დაიმალნენ თავიანთ შტაბებიანად ჰიტლერელი მმართველებიც. გებელსი თავის ოჯახიანად მდიდრული ციხედარბაზიდან 20 მეტრის სიღრმის სარდაფში გადავიდა თავის კანცელარიის ქვეშ. იქ დადგეს მიკროფონი. იქ გაჰყვიროდა იგი თავის უკანასკნელ სიტყვებს, არიგებდა ჯილდოებს. ბერლინის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გვაჩვენეს გერინგის მიწისქვეშა რეზიდენცია. ბერლინში ამბობენ, რომ გერინგი მეტად მხდალი იყო და ამიტომ ისეთი თავშესაფარი აიშენა, რომელსაც ვერავითარი ბომბი, ვერავითარი ყუმბარა ვერ გაარღვევს. ეს სიმართლეს ჰგავს. გერინგის სამუშაო ოთახები და მისი პირადი ბინა ციხესავით არის დაცული. მრავალმეტრიანი კედლები და სახურავები გაკეთებულია რაღაც განსაკუთრებული ხარისხის ბეტონისა და ჯავშანფოლადისაგან. აქ ყველაფერი ელექტროფიცირებულია. ენერგიას საკუთარი ელექტროსადგური აწვდიდა. საინტერესო დეტალი. გერინგის თავშესაფარი აგებულია ომამდე ბევრად უფრო ადრე.

საბჭოთა მეომრებმა ბრძოლებით გაიარეს ბერლინის მიწისქვეშეთი და გასწმინდეს იგი მტრისაგან. ჰიტლერელები ვერც მიწაზე გადურჩნენ წითელ არმიას და ვერც მიწისქვეშ.

პოდპოლკოვნიკი **ლ. ვისოკოოსტროვსკი**

პოდპოლკოვნიკი **პ. ტროიანოვსკი.**

ბერლინი. (ტელეგრაფით).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ი. ი. მეჩნიკოვის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მისი ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1945 წლის 15 მაისს სრულდება რუსული მიკრობიოლოგიის უდიდესი მოღვაწის, მეცნიერ ილია ილიას-ძე მეჩნიკოვის დაბადების 100 წლისთავი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. დაიდგას ქალაქ მოსკოვში ი. ი. მეჩნიკოვის ძეგლი.

2. გაკეთდეს მემორიალური დაფები ი. ი. მეჩნიკოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში:

ა) ქალაქ ხარკოვში — ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაზე;

ბ) ქალაქ ლენინგრადში — ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაზე.

3. დაწესდეს შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომებისათვის მიკრობიოლოგიის, იმუნოლოგიის, ეპიდემიოლოგიისა და ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის დარგში და დიდი მეცნიერული მიღწევებისათვის ბიოლოგიის დარგში:

ა) ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის ოქროს მედალი, რომელიც ყოველ წელს მიენიჭება ერთ ეგზემპლარად საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს:

ბ) ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის ორი პრემია — ერთი 50 ათასი მანეთის და ერთი 25 ათასი მანეთის რაოდენობით, რომლებიც ყოველ წელს მიენიჭება საბჭოთა მეცნიერებს.

მედლისა და პრემიების მინიჭება დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს დებულება ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის მედლითა და პრემიებით დაჯილდოების წესის შესახებ.

4. მიეკუთვნოს ი. ი. მეჩნიკოვის სახელი:

ა) მიკრობიოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და ინფექციონისტთა სრულიად საკავშირო საზოგადოებას;

ბ) ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

5. დაწესდეს ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სტიპენდიები:

ა) სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიაში სამი სადოქტორანტო სტიპენდია — თვეში 1.300 მანეთის რაოდენობით, რომლებსაც სამი წლის ვადით დაუნიშნავს სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი დოქტორანტებს — მიკრობიოლოგიის დარგში გამოჩენილ ახალგაზრდა მეცნიერებს;

ბ) მოსკოვის ლენინის ორდენოსან 1-ლ სამედიცინო ინსტიტუტში ორი სტიპენდია — თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული — უფროსი კურსების ყველაზე ნიჭიერი სტუდენტებისათვის;

გ) ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი სტიპენდია — თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული—უფროსი კურსების ყველაზე ნიჭიერი სტუდენტებისათვის;

დ) ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში ორი სტიპენდია — თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული — უფროსი კურსების ყველაზე ნიჭიერი სტუდენტებისათვის;

ე) ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში ორი სტიპენდია — თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული — უფროსი კურსების ყველაზე ნიჭიერი სტუდენტებისათვის;

ვ) ლენინგრადის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი სტიპენდია— თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული — უფროსი კურსების ყველაზე ნიჭიერი სტუდენტებისათვის,

ზ) ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი სტიპენდია — თვეში 400 მანეთის რაოდენობით თვითეული — უფროსი კურსების ყველაზე ნიჭიერი სტუდენტებისათვის.

6. დაევალოს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს გამოსცეს 1945 წელს:

ა) ი. ი. მეჩნიკოვის მონოგრაფია „იმუნიტეტი ინფექციურ დაავადებათა დროს";

ბ) ი. ი. მეჩნიკოვის წიგნი „ანთების შედარებითი პათოლოგია";

გ) ი. ი. მეჩნიკოვის ბიოგრაფია.

7. დაევალოს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს შეუდგეს 1945 წელს მზადებას ი. ი. მეჩნიკოვის თხზულებათა აკადემიური კრებულისა და მისი მიწერ-მოწერის გამოცემისათვის.

8. დაევალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტს (ამხ. ბოლშაკოვს) დაამზადოს 1946 წელს ი. ი. მეჩნიკოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატი წარმოების ცენტრალური ფიგურაა, მეტი ყურადღება მას

ისინი ადიდებენ ქვანახშირის მოპოვებას

ტყიბული, („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის შახტის მუშაკთა კოლექტივმა წელს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი ამოიღო და გაუგზავნა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებს. ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქვანახშირის ნგრევის, ბიგების ჩადგმისა და ბურღვის ოსტატებს, რომლებიც ენერგიულად ხელმძღვანელობენ თავიანთ უბნებს.

პირველი საექსპლოატაციო უბნის ცვლა, რომელსაც სამთო ოსტატი ივანე პეტრენკო ხელმძღვანელობს, მოწინავეა მთელს შახტში, იგი ათეულობით ტონა ქვანახშირს იღებს ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით. ამავე უბანზე წარმატებით მუშაობს ახალგაზრდა სამთო ოსტატის ვ. ყანჩაველის ცვლა. ამხ. ყანჩაველი სწორად ანაწილებს ძალებს, ყურადღებას აქცევს სამუშაო ფრონტის მოწყობას, ლავის ნორმალურ ექსპლოატაციას. იგი ყოველთვის 15-20 წუთით ადრე შედის შახტში და სწავლობს სამუშაო ფრონტის მდგომარეობას. წარმატებით მუშაობენ სამთო ოსტატები: ქ. ბეჟუკენაძე, გ. გაბელაშვილი, ნ. სოფრომაძე და სხვ.

სანგრევებსა და ლავებში ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ ქვანახშირის მოპოვების ოსტატები. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ისინი გარდა პროგრესიული ხელფასისა ყოველთვიურად იღებენ პრემიებს. ოსტატმა ე. სეიტენკომ იანვარ-თებერვალში უკვე შეასრულა ნახევარი წლის დავალება, თებერვალში 5.200 მანეთი გამოიმუშავა. იგი სისტემატურად ეხმარება ამხანაგებს დავალებათა შესრულებაში, უზიარებს თავის გამოცდილებას.

სახელოვანი სემივოლოსელი ამხ. შ. ფურცხვანიძე ქვანახშირის ნგრევის შესანიშნავი ოსტატია. იგი ორ ათეულ წელზე მეტია ტყიბულის შახტებში მუშაობს და აქვს დიდი საწარმოო გამოცდილება.

ასევე წარჩინებულ ოსტატებად ითვლებიან ტრესტში ნ. კრასნოგოლოვეცი, ა. ორჯონიძე, ი. ილიუშინი, ი. ფოჩხიძე, დ. ცხადაძე, ქ. ყიფშიძე, ს. ლაფერაძე, ა. ქათამაძე, ი. გაბრიაძე და მრავალი სხვა. ისინი შრომის სწორი ორგანიზაციით ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას.

დ. ქათამაძე

ავამაღლოთ ოსტატის როლი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის გული ორთქლმავალთა ამწყობი საამქროა. ქარხნის ყველა სხვა საამქროში დამზადებული პროდუქცია, ორთქლმავლის ყველა ნაწილი აქ იყრის თავს, რათა ფოლადის უზარმაზარ სხეულად შეიკრას და ლოკომოტივად იქცეს.

მეორთქლმავლეთა მუშაობა რთული და საინტერესოა.

აი, მოიყვანეს ავადმყოფი ორთქლმავალი. იგი სასწრაფოდ უნდა „განიკურნოს". სპეციალური ბრიგადა მას ცალკე ნაწილებად შლის. ეს ნაწილები ეძლევათ საკომპლექსო ბრიგადებს. საამქროში სულ 3 საკომპლექსო ბრიგადაა. თვითეულ კომპლექსში თავის მხრივ რამდენიმე სპეციალური ჯგუფი მუშაობს. ისინი ორთქლმავლის მხოლოდ ერთ რომელიმე დეტალს ამზადებენ. როდესაც ყველა რგოლი შეასრულებს თავის მოვალეობას, იწყება დაშლილი ორთქლმავლის აწყობა. მეორთქლმავლეთა მუშაობა მოითხოვს სიზუსტეს და რიტმულობას, რათა ორთქლმავლის გამოშვების გრაფიკი არ დაირღვეს.

ამ საქმეში დიდი როლი და პასუხისმგებლობა აკისრიათ საკომპლექსო ბრიგადათა ოსტატებს.

ოსტატი რაზმავს თავისი უბნის კოლექტივს დავალების მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. იგი ცდილობს არც ერთი წუთი უნაყოფოდ არ დაიკარგოს, რაციონალურად დატვირთოს ყველა მუშა, დროზე და სისტემატურად მიაწოდოს მას სამუშაო, თვალყური ადევნოს ხარისხს, წესრიგს, სისუფთავეს.

სამწუხაროდ საამქროში ხშირად ირღვევა ეს წესები, ამიტომ არის, რომ მეორთქლმავლეთა კოლექტივი ხშირად ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები მეორთქლმავლეებმა ვერ შეასრულეს. მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით 14 პროცენტით გაიზარდა. ადგილი ჰქონდა საწვავის დიდი რაოდენობით გადახარჯვას, ირღვეოდა ტექნოლოგიური რეჟიმი, დაბალი იყო შრომის დისციპლინა.

ამაში უპირველეს ყოვლისა ბრალი მიუძღვით საამქროს ხელმძღვანელებს, ბრიგადირებს, ოსტატებს. უკანასკნელ დროს საამქროში საგრძნობლად დაეცა ოსტატის როლი. მექანიკური განყოფილების ოსტატმა ამხ. დოლონაძემ მისდამი განკუთვნილ უბანზე ვერ განამტკიცა შრომის დისციპლინა. ზოგი მუშა იქ გვიან ცხადდება სამუშაოზე და ადრე თვითნებურად მიდის ქარხნიდან. ყურადღება არ ექცევა ახალმოსულთა აღზრდას. ასეთივე მდგომარეობაა პირველ საკომპლექსო ბრიგადაში, სადაც ოსტატად ამხ. სტროგანი მუშაობს. მეორე საკომპლექსო ბრიგადის ოსტატმა ამხ. ოგანეზოვმა ვერ შესძლო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის თავის საოსტატოს დარაზმვა. იგი სისტემატურად იძლევა დაბალი ხარისხის დეტალებს. ასევე ხშირად უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას ის ბრიგადა, სადაც ოსტატად მუშაობს ამხ. ვადაჭკორია.

ოსტატის ავტორიტეტის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული მის ნაყოფიერ მუშაობაზე. სამხრუჭე განყოფილების ოსტატს ამხ. აბაკუმოვს კარგი ავტორიტეტი იმიტომ არა აქვს, რომ ხშირად სამუშაო საათებში ის უსაქმოდ არის.

ქარხნის ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ შექმნან პირობები ოსტატის როლის, მისი ავტორიტეტის ასამაღლებლად, გახადონ ისინი წარმოების ნამდვილ ნოვატორებად, სოციალისტური შეჯიბრების წინამძღოლებად.

ა. ნინუა

ფეიქარი ვ. ჯორჯაძე და სხვები

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი საფეიქრო საწარმოა. აქ ბევრი მოწინავე ოსტატი და ქვეოსტატი მუშაობს. სამამულო ომის პერიოდში მათ წარმატებით აითვისეს მრავალი ახალი სახის ქსოვილის წარმოება.

კამვოლური საამქროს საჩეჩი განყოფილების ოსტატი ამხ. ვ. ჯორჯაძე ყოველთვის ცდილობს სიახლე შეიტანოს, მაღალი საწარმოო კულტურა დანერგოს თავის სამუშაო უბანზე. ის კარგი სამეურნეო ხელმძღვანელი, უბნის საუკეთესო ორგანიზატორი და შრომის ახალი მეთოდების აგიტატორია.

წარმოებაში ოსტატს ყველაზე ძვირფასი რამ აბარია — ადამიანები. მასვე აბარია სახელმწიფოს სიმდიდრე — ძვირფასი დანადგარები, მექანიზმები და მანქანები. ამხ. ჯორჯაძე თვალისჩინივით უფრთხილდება, მასთან მომუშავე ამხანაგებს, სწავლობს მათს საყოფაცხოვრებო პირობებს, გულისხმიერად ეკიდება მათ შენიშვნებსა და სიგნალებს. იგი მუშას დავალებას აძლევს მისი უნარის მიხედვით. ამას ყოველთვის კარგი შედეგი მოსდევს.

ახალმოსულებს ოსტატი ჯორჯაძე უნერგავს ტექნიკის დაუფლებისადმი ინტერესს, იმის შეგნებას, რომ საწარმოო წარმატებაში უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ყველა მუშას. ოსტატი მათ ასწავლის, თუ როგორ უნდა მიაღწიონ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, ნედლეულის, დამხმარე მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნეობას, მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყო-იარაღების თვალისჩინივით მოვლას.

ასეთი მუშაობით ჯორჯაძის უბანი ახალ წარმატებებს აღწევს და მისი საოსტატო მოწინავეა მთელს ფაბრიკაში.

კამვოლური საამქროს ოსტატი ამხ. ა. ქავთარაძე მაღალნაყოფიერი შრომის ნამდვილი ორგანიზატორია. მის საოსტატოში სანიმუშოდ არის დაცული ტექნოლოგიური დისციპლინა, მიღწეულია ნედლეულის ეკონომია, გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ და იძლევიან მაღალხარისხოვან პროდუქციას.

საუკეთესო ოსტატის სახელი აქვს მოხვეჭილი საპრეტურო საამქროს უფროს ოსტატს ამხ. მ. ქაცარავას. იგი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს ფაბრიკაში. ოსტატმა ისე გაანაწილა ძალები, ისე მოაწყო შრომა, რომ მიუხედავად კადრების სიმცირისა, საამქრო დავალებებს მაინც გადაჭარბებით ასრულებს. ომის წლებში მან პროფესია 30-ზე მეტ ახალმოსულს შეასწავლა.

ასევე საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან ა. ყიფიანი, ა. სურიელაშვილი და შ. გოგორიშვილი.

მაუდის საამქროს ოსტატებს ვ. დანელიას და ს. სვანიშვილს დიდი საწარმოო სტაჟი აქვთ. მაგრამ ისინი მოშვებულად მუშაობენ და ვერ ამართლებენ სამეურნეო ხელმძღვანელის როლს. საამქროში საწარმოო დავალებანი არ სრულდება, სუსტად იბრძვიან ნედლეულის ეკონომიისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ფაბრიკაში ადგილი აქვს ოსტატის შრომის შეუფასებლობას, წარმოების ამა თუ იმ რგოლის მუშაობა აქ იმის მიხედვით ფასდება, თუ როგორ წარმატებას მიაღწია უკანასკნელმა. მაგალითად, მზა ნაწარმის გამომშვებმა რგოლმა თუ გეგმა ვერ შეასრულა, მაშინ როცა წინა რგოლს დავალება გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად აქვს განაღდებული, პრემია არავის ეძლევა. ამგვარად, მზა ნაწარმის გამომშვები რგოლის მუშაობაზეა დამოკიდებული სხვა რგოლების წახალისების საქმე. ამის შედეგად ხშირად ხდება, რომ მთელი რიგი საამქროები და რგოლები გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ, მაგრამ მზა ნაწარმის საამქროს ჩამორჩენის შედეგად პრემიას ვერ იღებენ. შრომის წახალისების ასეთი სისტემა არ ჰქმნის შემდგომი წარმატების მიღწევის სტიმულს.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ხელმძღვანელები მეტი მზრუნველობით უნდა მოეპყრონ ოსტატებს, მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ოსტატი წარმოების წამყვანი ფიგურაა, რომ საჭიროა მას ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ, ავამაღლოთ მისი როლი, შევუქმნათ ყველა პირობა მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

ა. შარვანიძე

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მოშლილი ტელეფონი და დამუნჯებული რადიო"

გაზეთ „კომუნისტის" 28 მარტის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია „მოშლილი ტელეფონი და დამუნჯებული რადიო", რომელიც ეხებოდა ხობის რაიონის კავშირგაბმულობისა და რადიოკვანძის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი ამხ. მ. სითრდია გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა უახლოეს დროშივე გამოსასწორებლად.

პირველი ხორგის, ნოჯიხევის, ბიის, ახალხიბულის და საჯიჯაოს სასოფლო საბჭოები უკვე რადიოფიცირებულია.

ჰელსინკში ჩავიდა პეცამოს (პეჩენგის) რაიონში საზღვრის დემარკაციის საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისიის საბჭოთა დელეგაცია

ჰელსინკი, 13 მაისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში ჩამოვიდა პეცამოს (პეჩენგის) ოლქის უბანზე სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საზღვრის დემარკაციის საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისიის საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც შედიან დელეგაციის თავმჯდომარე მრჩეველი ა. მ. ალექსანდროვი და დელეგაციის წევრები პოლკოვნიკი მ. ი. კრასკოვეცი, პოლკოვნიკი ვ. ს. პაშა და პოდპოლკოვნიკი ი. მ. ნეკრასოვი.

ვაგზალში საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ ფინეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის პოლიტიკური მრჩევლის თანაშემწეები ამხანაგები მაევსკი და რიბაკოვი და შერეული კომისიის ფინეთის დელეგაციის წევრები პოლკოვნიკი კ. სომერტო და დოქტორი ვ. კალაია.

გაერთიანებულ ერთა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე

სან-ფრანცისკო, 14 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). კონფერენციის სხვადასხვა კომიტეტები დღეს განაგრძობდნენ მუშაობას საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების ჩამოსაყალიბებლად. იმის გამო, რომ ამ მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად ტექნიკურ სტადიაშია, სან-ფრანცისკოს კვლავ სტოვებენ დელეგაციათა მეთაურები. გუშინ სან-ფრანცისკოდან გაემგზავრნენ იდენი და ეტლი, დღეს მიემგზავრება კანადის პრემიერ-მინისტრი კინგი.

გამცემთა გასამართლება ათენში

ათენი, 14 მაისი. (საკდესი). 12 მაისს საბერძნეთის მარიონეტი „პრემიერების" რალისის, ჩოლაკოღლუს და საბერძნეთში გერმანელი ოკუპანტების სხვა მთავარ თანამშრომელთა პროცესზე საბრალდებო სიტყვა წარმოსთქვა პროკურორმა პაპადაკისმა. „ოკუპაციის დროს,—სთქვა მან,—ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ის პირნი, რომლებმაც იგი მისი შესანიშნავი წინააღმდეგობის დროს დამპყრობლებს ჩაუგდეს ხელში, საბერძნეთის განთავისუფლების შემდეგ დაუყოვნებლივ და ულმობლად დაისჯებოდნენ. მაგრამ უკვე 6 თვე გავიდა, ხოლო წესრიგი ჯერ კიდევ არ ჩატარებულა".

რომ ეჩვენებინა სახე მტრისა, რომელსაც რალისი და მისი ახლო მყოფნი ემსახურებოდნენ, პროკურორმა წაიკითხა სტატისტიკური ცნობები ოკუპანტების მხეცობისა და მათ მიერ ჩადენილი ნგრევის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ოკუპანტებმა დახვრიტეს 10 ათასი კაცი, დაანგრიეს 70 ათასი სახლი, მოსპეს 883 სოფელი. „და ყოველივე ამის შემდეგ,—სთქვა პროკურორმა,—ბრალდებულნი ხალხს მოუწოდებდნენ დამპყრობლების მადლობელი იყავითო".

პროკურორმა აღნიშნა, რომ ოკუპანტებთან მარიონეტი მმართველების მიერ პირადად დადებული ყველა ეკონომიური ხელშეკრულების მიზანი იყო „კანონიერი ფორმა" მიეცა ოკუპანტების მიერ წარმოებული ძარცვისათვის. რალისის ეგრეთწოდებულ „მცველ ბატალიონებს" და მის მიერ შექმნილ „უშიშროების ორგანოებს", რომლებიც ვითომდა „წესრიგის დასაცავად" არსებობდნენ, ნამდვილად წინააღმდეგობის ორგანიზაციების და პარტიზანების დევნისათვის იყენებდნენ. „მცველი ბატალიონები" გერმანელების მხარეზე იომდნენ, და, მაშასადამე, სთქვა პროკურორმა, იბადება კითხვა საბერძნეთის ძალა იყვნენ ისინი, თუ მტრისა. „პასუხისმგებლობა ბატალიონების მიერ ჩადენილი ყველა მკვლელობისა და უმსგავსობისათვის ეკისრება იმათ, ვინც ეს ბატალიონები შექმნა".

დასასრულ პროკურორმა აღნიშნა, რომ რალისის, ჩოლაკოღლუს, ლოგოფეტოპულოსისა და სხვა ბრალდებულთა უმეტესობის დამნაშავეობა სამშობლოს ღალატში, რაც გამოიხატა მტრისადმი სამსახურით და მისი სასარგებლო პროპაგანდით, დამტკიცებულია.

გაზეთი „ელევთერი ელადა" ეხება პროკურორის სიტყვას და სწერს, რომ სასამართლოში გამეფებულ გამცემლობისა და გამცემთა ქება-დიდების ატმოსფეროში ბოლოს გაისმა ერის ხმა.

დაიწყო დაცვის სიტყვების მოსმენა. ერთ-ერთმა დამცველმა სხვათა შორის განაცხადა, ახლა მეფე საბერძნეთში რომ იყოს, ბრალდებულნი დიდი ხანია გამართლებული იქნებოდნენო.

პოლონური გაზეთი კრაიოვა რადა ნაროდოვას პლენუმის შესახებ

ვარშავა, 14 მაისი. (საკდესი). გაზეთი „გლოს ლიუდუ" მოწინავე სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „კრაიოვა რადა ნაროდოვა ხალხის პარლამენტია", აღნიშნავს რადის უკანასკნელი პლენარული სხდომის უდიდეს მნიშვნელობას.

ახლა, სწერს გაზეთი, პოლონეთს ისევ აქვს თავისი სეიმი. პოლონელ ხალხს ისევ აქვს თავისი პარლამენტი, რომელიც კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას. მწვავე კამათი, რაც რადის სხდომებზე გაიმართა ზოგიერთ საკითხზე, როგორიც, მაგალითად, ვარშავის აღდგენის, უშიშროების ორგანოების საქმიანობისა და სხვა საკითხებზე, ამტკიცებს, რომ კრაიოვა რადა ნაროდოვაში სხვადასხვა შეხედულებანი არსებობენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ამოცანების შესახებ. გაერთიანება დემოკრატიული პარტიებისა, რომლებსაც ერთობლივი მთავრობა ეყრდნობა, წარმოადგენს იმ პარტიათა შეთანხმებას, რომლებსაც სხვადასხვა პროგრამები აქვთ, ზოგჯერ სხვადასხვა შეხედულებაც კი. მაგრამ ყველა ამ პარტიას აერთიანებს საერთო მიზანი, რაც გამოიხატება პოლონეთის რესპუბლიკის განვითარების ძირითადი ხაზით: პოლონეთის ღრმა დემოკრატიზაცია, საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და უკიდურეს რეაქციასთან ულმობელი ბრძოლა.

საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის პირველი შედეგები

პარიზი, 15 მაისი. (საკდესი). 13 მაისს საფრანგეთში შესდგა მუნიციპალური არჩევნების მეორე ტური. (მეორე ტურში, საფრანგეთში არსებული საარჩევნო სისტემის თანახმად, კენჭს იყრიან კანდიდატები ან კანდიდატთა სიები, რომლებსაც პირველ ტურში არ მიუღიათ ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში მიცემული ყველა ხმის ნახევარზე თუნდაც ერთი ხმით მეტი. მეორე ტურში არჩევისათვის საკმარისია ხმის უბრალო უმეტესობა). ახლა მეორე ტურში კენჭი იყარა კანდიდატების დაახლოებით ნახევარმა, რომლებმაც აბსოლუტური უმრავლესობა არ მიუღიათ კენჭისყრის პირველ ტურში, რაც 29 აპრილს შესდგა.

როგორც გუშინ საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, 20 ათას კომუნაში (38 ათასი საერთო რიცხვიდან) მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები მოწმობენ ანტიფაშისტური სიების გამარჯვებას, რომლებშიც შედიან კომუნისტური და სოციალისტური პარტიების, წინააღმდეგობის ორგანიზაციებისა და მთელ რიგ პუნქტებში რადიკალ-სოციალისტების პარტიის მიერ ერთობლივად წამოყენებული კანდიდატები.

ლონდონი, 14 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო პარიზიდან გადმოგვცემს, რომ საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის შედეგები საერთოდ ადასტურებენ ანტიფაშისტური სიების წარმატებას. ეს წარმატება აშკარაა როგორც პარიზში, ისე პროვინციაში.

კენჭისყრის მეორე დამახასიათებელი მხარე, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, ის არის, რომ ყველა იმ კანდიდატმა, რომელიც, როგორც ეჭვობდნენ, ცდილობდნენ პეტენისათვის მხარის დაჭერას, მარცხი განიცადა.

გადაწყვეტილება იტალიელი პარტიზანების რეგულარულ ჯარში ჩარიცხვის შესახებ

რომი, 13 მაისი (საკდესი). იტალიის მინისტრთა კაბინეტმა მილანიდან გენერალ კადორნას და ჩრდილოეთის პარტიზანული რაზმების სხვა ხელმძღვანელთა ჩამოსვლისთანავე მიიღო გადაწყვეტილება პარტიზანულ რაზმებში მომედ ელემენტებთან რეგულარული ძალების დაუყოვნებლივ ფართოდ და ორგანულად გაერთიანების შესახებ. „ეს, — ნათქვამია გადაწყვეტილებაში, — წარმოადგენს დემოკრატიული ორგანიზაციების გადახალისების ყველაზე საიმედო გარანტიასა და დასაყრდენს და შეერთება გარდამავალ ხასიათს როდი ატარებს, ვინაიდან მთავრობა იგი მიაჩნია ერთ-ერთ ღონისძიებად, რაც მიმართულია იქისაკენ, რომ ახალი ძალები, რომლებიც გამოცდილი არიან ნაციონალურ განთავისუფლებელ ბრძოლაში, ჩაბმულ იქნენ ყველა ორგანიზაციასა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. რეგულარულ არმიაში ორგანულად იქცევიან პარტიზანული ძალები და სამხედრო კადრები, რომლებიც მოქმედებდნენ „თავისუფლების მოხალისეთა კორპუსის" შემადგენლობაში და დაამტკიცეს თავიანთი უნარი, მამაცობა და სამშობლოსადმი სიყვარული ნაციონალურ განთავისუფლებელ ბრძოლაში. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალი ნაციონალური არმიის სულისკვეთების განმტკიცებას ახლად მოპოვებული თავისუფლებისა და აღორძინებული ნაციონალური სოლიდარობის ვითარებაში.

გამოიყოფა ფინანსიური სახსრები ამ ღონისძიებათა ჩასატარებლად, რომ ყველა მობილიზებული პარტიზანისათვის უზრუნველყოფილ იქნას დაუყოვნებლივი დახმარება და საჭირო ხელშეწყობა, რათა თავისუფლების მოხალისენი ეზიარონ ნაყოფიერ საქმიანობას და ნაციონალურ სამოქალაქო ცხოვრებას".

ბელგიის მეფე ლეოპოლდმა გადასწყვიტა არ დაბრუნდეს ბელგიაში

ლონდონი, 15 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, ბელგიის მეფე ლეოპოლდმა (რომელიც, როგორც ცნობილია, ბელგიის ოკუპაციის პერიოდში გერმანელებმა ავსტრიაში წაიყვანეს და მოკავშირეების მიერ თავისი განთავისუფლების შემდეგ ზალცბურგს ჩავიდა) გადასწყვიტა ავადმყოფობის გამო ჯერჯერობით არ დაბრუნდეს ბელგიაში და დაავალოს თავის ძმას — პრინც შარლს განაგრძოს რეგენტის ფუნქციების შესრულება. მიმომხილველი აღნიშნავს, რომ „თუმცა ბელგიის ხელისუფლებმა ოფიციალურად უარყვეს ცნობა, თითქოს მეფის ავადმყოფობა დიპლომატიური იყოს, ეჭვი არ არის, რომ ამჟამად ბრიუსელში მისი დაბრუნება ბიძგს მისცემდა მონარქიის, მთელი პრობლემის შესახებ დისკუსიის წარმოშობას, რაც მხოლოდ განხეთქილებამდე მიგვიყვანდა ისედაც რთულ პოლიტიკურ ვითარებაში".

ჯერ კიდევ 4 მაისს, რეიტერის სააგენტოს ბრიუსელელი კორესპონდენტის ცნობით, ბელგიის სოციალისტური პარტიის აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ბელგიის, მისი მოკავშირეების ერთიანობისა და არსებული პოლიტიკური რეჟიმის სიმტკიცის ინტერესები სოციალისტური პარტიისაგან მოითხოვენ წინააღმდეგობა გაუწიოს მეფისათვის ძალაუფლების ავტომატურ გადაცემას და მხარი დაუჭიროს ყველა ღონისძიებას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ მიღწეულ იქნას მეფის გადადგომა". კორესპონდენტი კომენტარს უკეთებს ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ ბელგიელი სოციალისტები და ამ საკითხში ამავე თვალსაზრისზე მდგომი კომუნისტები ბევრ მიმდევარს იპოვიან ბელგიაში, ამავე დროს ბელგიის კათოლიკურ პარტიას, როგორც მისი ორგანოს „ნასიონ ბელჟის" განცხადებიდან ჩანს, საჭიროდ მიაჩნია ბელგიაში მეფის დაბრუნება და მისთვის სამეფო ძალაუფლების კვლავ გადაცემა.

გაფიცვები საბერძნეთში

ათენი, 15 მაისი. (საკდესი). 11 მაისს გაიფიცნენ პირეისა და სალონიკის თამბაქოს ფაბრიკების მუშები, აგრეთვე 800 კაცი ნავსადგურის მუშები და ქალაქ ვოლოსის ბანკების მოსამსახურეები. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებას სიძვირის ზრდის გამო. გაფიცვა გამოაცხადეს აგრეთვე ვოლოსის რაიონის შოფერებმა. ათენში უკვე ერთი კვირაა გრძელდება კინოთეატრების მოსამსახურეთა გაფიცვა.

რა ხდება ბებნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში

(ქარელი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის „სამტრესტის" ბებნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას დავალებული აქვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოიყვანოს უმთავრესად თესლოვანების — ვაშლისა და მსხლის მაღალხარისხოვანი ნერგი. აქ შეიძლება ყოველწლიურად ასეულ ათასობით სტანდარტული ნერგის მიღება, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები ამ საქმეს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მეურნეობას დღემდე არ გაუცია არც ერთი ძირი მსხლის ნერგი. მეტისმეტად ცუდი მუშაობის შედეგად სანერგე წელსაც ვერ უზრუნველყოფს სათანადო რაოდენობით როგორც მსხლის, ისე ვაშლის სტანდარტული ნამყენის გამოყვანას. მსხალი 1944 წლის ზაფხულამდე არც კი დაუმყნია, ხოლო რაც დაიმყნო, 50 პროცენტზე მეტს არ გაუხარია. მცირეა ვაშლის ნამყენიც.

მეურნეობის ტერიტორიის 80 პროცენტი დაუმუშავებელი და თითქმის გაყამირებულია. მიწა დაუხარავი და გაუფხვიერებელია 1-2 წლიან ნამყენებთან. ასევე დაუმუშავებელია 5 ჰექტარი ნიადაგი საძირეებთან. ქარსაფარი მცენარეები გეგმით უნდა გაშენებულიყო 2 კილომეტრზე. ამისათვის საჭირო მასალა აქვთ, მაგრამ დარგვას ჯერაც არ შესდგომიან. მეურნეობაში სარების მისაღებად ტირიფი 0,5 ჰექტარზე უნდა გაშენდეს. ეს სამუშაო შეიძლებოდა მარტშიც დამთავრებულიყო, მაგრამ დღემდე ისიც გაურკვეველია, თუ სად შეიძენენ დასაფესვიანებელ კალმებს. შესაფუთი ტირიფი მეურნეობას 1,5 ჰექტარზე უნდა გაეშენებინა. ფაქტიურად მხოლოდ 0,5 ჰექტარზე დარგეს. სიმინდისა და ლობიოს დასათესად ჯერ ნიადაგიც არ მოუმზადებიათ.

მეურნეობის ხელმძღვანელებს დავალებული ჰქონდათ მოეტანათ და დაეთესათ 40 კილოგრამი პანტის, 20 კილოგრამი ბალამწარის და 50 კილოგრამი გლედიჩიას თესლი. არც ეს სამუშაო არის შესრულებული.

სანერგე მეურნეობის ნაკვეთს ყოველი მხრიდან აკრავს ქარსაცავი ზოლი, მაგრამ იგი მეჩხერია და შევსებას მოითხოვს. გასასწორებელი და შესავსებია აგრეთვე ეკლიანი მავთულის ღობეები, ჩასამატებელია ბოძებიც. მოუგვარებელია მორწყვის საქმე — არხისა და ბოგირის შეუკეთებლობის გამო წყალი სანერგემდე ვერ აღწევს.

სანერგე მეურნეობაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ხეხილის ჯიშების შერჩევას, არ ამყნობენ და არ ამრავლებენ სამრეწველო ჯიშებს.

მეურნეობაში არ ზრუნავენ საკუთარი სადედე ბაღის მოწყობაზე. გასამრავლებლად არ გაუშენებიათ კარგი ჯიშის ვაშლი, მსხალი და სხვ. ამიტომ სანამყენე კალმებს ყოველწლიურად 10 კილომეტრით დაშორებულ ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში და სხვადასხვა სოფლებში დაეძებენ.

მეურნეობას დიდი რაოდენობით აკლია დანები, მაკრატლები, ბარები, თოხები და გუთნები.

მეურნეობას შეეძლო იმ საძირეებზე, რომლებზეც შარშან დამყნილმა კვირტებმა ვერ გაიხარეს, წელს გაზაფხულზე ჩაეტარებინა განმეორებითი მყნობა, მაგრამ ეს არავის მოჰგონებია.

მეურნეობას აკლია მუშა-ხელი და სპეციალისტები. არ არის მთავარი აგრონომი და სანერგე მეურნეობის მცოდნე 3 დარგობრივი აგრონომი. მოუგვარებელია ტრანსპორტის საკითხი. 4 ცხენიდან 2 დაუძლურებულია. არ აქვთ ტრაქტორი.

ამ სერიოზულ ნაკლოვანებებს ბებნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ადგილი არ ექნებოდა, ქარელის პარტრაიკომს ეს საკითხი მსჯელობის საგნად რომ გაეხადა და მიეღო ზომები ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ამ ნაკლოვანებებს ადგილი არ ექნებოდა, სამტრესტი სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას რომ უწევდეს ბებნისის საბჭოთა მეურნეობას.

ტ. თოდრაძე

ფეხბურთი

საინტერესო მატჩი

14 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა" და მინსკის „დინამოს" ოსტატთა გუნდები.

გუნდები მოედანზე ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. ანგარიში მე-15 წუთზე იხსნება. მარჯვენა ფრთიდან მოწოდებულ მაღალ ბურთს, თავით ძლიერად ურტყამს დინამოელთა ცენტრი. ბურთი კარის ძელიდან მოედანში ბრუნდება, მაგრამ ხელმეორე დარტყმით ლენინგრადელთა ბადეში ექცევა. საპასუხო ბურთისათვის იწყება ბრძოლა მინსკელთა საჯარიმო მოედანზე. დინამოელთა დამცველების შეუპოვრობა და კოლექტიური თამაში საშუალებას არ აძლევს ლენინგრადელებს ანგარიში გააქვითონ.

თამაშის პირველი ნახევარი სრულდება, ანგარიშით 1:0 მინსკელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ინიციატივა ლენინგრადელთა ხელშია. მათ ერთი მეორეზე მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგის კარზე. მინსკელთა მეკარე სტეპენკოს გაბედულმა ნახტომებმა იხსნეს კარი რამდენიმე ნაღდი გოლისაგან.

თამაშის დასრულებას ერთი წუთიღა აკლია. მაყურებლები მიდიან სტადიონიდან. ამ დროს შორი მანძილიდან მიღებული ბურთი „ზენიტის" ახალგაზრდა გარემარბმა ს. სალნიკოვმა ზუსტი დარტყმით მინსკელთა ბადეში მოაქცია და გადაარჩინა თავისი გუნდი დამარცხებას.

ამრიგად, შეხვედრა დამთავრდა ყაიმით 1:1.

გ. მახარაძე

საქართველოს ალპიური კლუბის სპელეოლოგიური ექსპედიცია

ამ დღეებში თბილისიდან გაემგზავრა სპელეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც მოაწყო საქართველოს ალპიურმა კლუბმა მდინარე ხრამისა და ალგეთის ხეობებში არსებული ხელოვნური და ბუნებრივი გამოქვაბულების შესასწავლად. ექსპედიცია გამოიკვლევს გამოქვაბულებს მანგლისის, წალკისა და თეთრი-წყაროს მიდამოებში.

ექსპედიციაში შედიან: გეოგრაფი ი. მარუაშვილი (ხელმძღვანელი), არქეოლოგები ნ. ზ. კილაძე და დ. ს. გოზალიშვილი, გეოლოგი ა. მ. ფომინი და ტოპოგრაფი ა. ა. ებრალიძე.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 16/V — „აიდა", 17/V — „დაისი". **რუსთაველის სახელობის**— 16/V — „ხევისბერი გოჩა", 17/V — „ოტელო". **მარჯანიშვილის სახელობის** — 16/V — „ფიქრის გორა", 17/V — „ბაგრატიონი". **გრიბოედოვის სახელობის** — 16, 17/V — „მაშენკა". **ხანკულტურის** — 17/V — „სევდიანი რომანი". **სომხური** — 16/V—„დიდი ქორწილი". 17/V — „ქაოსი".

კინოებში

16 მაისს: რუსთაველის სახელობის—„მასკარადი". დამკვრელი — „მდიდარი საცოლე". კომკავშირელი—„მხიარული ახალგაზრდობა". სპარტაკი — „ბუდაპეშტი". ლუქსემბურგის სახელობის — „მეფე სალტანის ზღაპარი". 26 კომისრის სახელობის — „მზიური ველის სერენადა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი აცხადებს 1945-46 სასწავლო წლისათვის ახალ მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ფორტეპიანო — 5 ადგილი, ვიოლინო — 5, ჩელო—5, ალტი — 2, არფა — 1, კონტრაბასი—1, სასულე — 7, ვოკალური — 4. ფორტეპიანოს, ვიოლინოს და ჩელოს განყოფილებებზე მიიღებიან ბავშვები 7 წლის ასაკიდან, სასულეზე 12 წლიდან და ვოკალურზე 13 წლამდე (ქალები) და 15 წლამდე (ვაჟები).

პირველ კლასში ჩარიცხვისათვის ვიოლინოს და ფორტეპიანოს სპეციალობაზე აუცილებელია მკაფიოდ გამოხატული მუსიკალური ნიჭი და ინსტრუმენტის პირველდაწყებითი ცოდნა, ხოლო სხვა სპეციალობებზე შემომსვლელთათვის — მკაფიოდ გამოხატული მუსიკალური მონაცემები.

შემომსვლელთა განცხადებები მიიღება ა. წ. 18 მაისამდე. მისაღები გამოცდები 21 მაისიდან 25 მაისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს: 1. მეტრიკული ამონაწერი (შეიძლება ასლი), 2. ჯანმრთელობის და აცრის მოწმობა, 3. ცნობა საერთოსაგანმანათლებლო სკოლიდან, 4. ორი ფოტოსურათი, 5. თუ შემომსვლელი იგზავნება მუსიკალური სკოლიდან, სათანადო მიმართვა.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მუსიკალური ათწლედის კანცელარიაში, გრიბოედოვის ქ. № 8, ოთახი 4, 3-დან 6 საათამდე.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედის დირექტორი ბ. მ. თაქთაქიშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, 1945 წ. მაისის 26-ს, დღის 3 საათზე, მესამე კორპუსის ბოტანიკის აუდიტორიაში (მარის ქ. № 11) **ქ. ა. ბაჩილაძე** ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საქართველოში გავრცელებულ გვარ Sorbus L.-ის სექციია Aucuparia Medik.-ის წარმომადგენელნი".

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დოქტორი დ. სოსნოვსკი, პროფესორი დოქტორი ვ. გულისაშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

დედა მარო, მამა პეტრე, ძმა რომან ჯიპლაძეები, ბებია მინადორა, ბიძოლა ციცო ლოლაშვილები იუწყებიან **სპარტაკ გოგებაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/V, 6 ს. ფურცელაძის, 30.

ლიდა, ლუარსაბი, მარო, ვახტანგი, მიტო ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის **შალვა პარმენის-ძე მაჭარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/V, 7 ს. გამოსვენება 17/V 6 ს. პაპანინის, 16.

ვალოდია და ადიკო კვალიაშვილები ოჯახებით, გივი მესხი იუწყებიან მეგობრის **შალვა პარმენის-ძე მაჭარაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/V 6 ს. პაპანინის, 16.

მეუღლე ნინო, შვილები კაკო, ნატაშა, ვალია, იამა, თამარ შველიძეები იუწყებიან **აბესალომ მალაქიას-ძე შველიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/V, 6 ს. საჰილოს, 33.

დაკარგულია თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს [illegible] № 458-ის სამკუთხედი ბეჭედი. ხ. გ.

მარიამ სარაჯიშვილისა, რაისა ლაფერაშვილი-ბადიაშვილისა, ნიკოლოზ, ალექსანდრე ლაფერაშვილები ოჯახებით იუწყებიან დისწულის **კონსტანტინე ვასილის-ძე ოატის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/V, 8 ს. გამოსვენება 17/V, 6 ს. ვაჟა ფშაველას, 6.

მშობლები მარო, გრიშა, ბებია ანეტა, მამიდები ლენა, ანა, თამარ ჩაჩუები იუწყებიან დაუვიწყარი **ციცანას** გარდაცვალებას.

დები ოლია დამენია და ბაბო ჯანაშია ქმარშვილით იუწყებიან ძმის **ვლადიმერ სიმონის-ძე ხეცურიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მაისს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ცენტრალური კლინიკის ინსტიტუტის (ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს) პროზექტურიდან.

„მეტიზტრესტის" თბილისის კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ი. თევზაძის მეუღლის **თამარ ხურგულაძე-თევზაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/V ხაზ[illegible], 349.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3 06 88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 ეე 00315